მთავარი რედაქტორისაგან

ძვირფასო მკითხველო,

წარმოგიდგენთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალის“ მესამე გამოცემას, რომელიც ეძღვნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის ამოქმედებას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური უფლების განმტკიცების, მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების, აგრეთვე, საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს განსაკუთრებული როლი აკისრიათ. კანონმდებლობის აღსრულების თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობისაა მონაცემთა დაცვის ეროვნული საზედამხედველო ორგანოს საქმიანობა საზედამხედველო პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების ეფექტიანად განსახორციელებლად. საერთაშორისო საუკეთესო სტანდარტების იმპლემენტაციის პროცესში საგულისხმოა მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა შორის საერთაშორისო თანამშრომლობა. ამ კუთხით აღსანიშნავია „მონაცემთა დაცვის ევროპულ საბჭოსთან“ (“EDPB”), „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველთან“ (“EDPS”) და ევროპის ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან ჩვენი სამსახურის ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც განვითარებული თანამშრომლობა და გაზიარებული საუკეთესო პრაქტიკა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი კანონის იმპლემენტაციის პროცესში, ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი და ღირებულია.

წინამდებარე სამეცნიერო პუბლიკაციაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მონაცემთა დაცვის სამართლის ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა, პრაქტიკოსთა თანამშრომლობის ერთგვარი პლატფორმაა. იგი მკითხველს დარგის აქტუალურ საკითხებსა და საერთაშორისოსამართლებრივ ტენდენციებზე არაერთ საინტერესო სამეცნიერო ნაშრომს სთავაზობს. ჟურნალის მთავარი მისიაა, კვლევითი კომპონენტის გამოყენებით, ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე შედარებითსამართლებრივი დისკურსის წარმართვა, რასაც ეროვნული საზედამხედველო ორგანოს განვითარებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად მივიჩნევთ.

ჟურნალის წინამდებარე გამოცემაში განხილულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითადი ტენდენციები და აქტუალური საკითხები — მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა, სინთეზური მონაცემები და ანონიმიზაციის კონცეფცია, ელექტრონული სანოტარო რეესტრი და მონაცემთა უსაფრთხოების სტანდარტი, არასრულწლოვანთა მონაცემთა დაცვა და სხვა. თითოეული ეს ნაშრომი ღირებული სამეცნიერო კონტრიბუციაა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ინსტიტუტების განმარტებისთვის. მადლობას ვუხდი თითოეული სტატიის ავტორს, ჟურნალის წინამდებარე გამოცემაში მათ მიერ განხორციელებული სამეცნიერო წვლილისთვის და უაღრესად საინტერესო კვლევების გამოქვეყნებისათვის.

მსურს განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნო გერმანიის სოციალურ საკითხთა ფედერალური სასამართლოს ყოფილი მოსამართლის, მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალის“ სარედაქციო კოლეგიის წევრის — **დოქტორ ნორბერტ ბერნსდორფის** წვლილი ჟურნალის სამეცნიერო მხარდაჭერაში.

ამასთანავე, მადლიერებას გამოვთქვამ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარგის მკვლევრის — **დოქტორ ალექსანდრე ბოდუინისა** და ბოლონიის უნივერსიტეტის მკვლევრის — **ანდრეა ფ. ფერარისის** მიმართ ინოვაციური, აქტუალური სამეცნიერო ნაშრომის წარმოდგენისათვის.

სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ ჟურნალის წინამდებარე გამოცემას კვლავ ფართო აუდიტორია ეყოლება და მასში გამოქვეყნებული შრომებით სამართალმცოდნეთა გარდა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის მომიჯნავე დარგის წარმომადგენლებიც დაინტერესდებიან.

ლელა ჯანაშვილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ბარსელონის ავტონომიური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი